**ჩამონათვალი იმ კვების პროდუქტების, ნივთების, ნაკეთობების, ნივთიერებების და დოკუმენტებისა, რომელთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეტანა აკრძალულია ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან შეხვედრაზე შემსვლელი პირებისათვის**

1. სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნები, ნივთები და ნივთიერებები.

2. ცივი იარაღის ყველა სახეობა.

3. ქიმიკატები, ფეთქებადი, მომწამლავი და ცეცხლსაშიში ნივთიერებები.

4. ფული (ნებისმიერი სახის ფულადი ვალუტა), ფასიანი ქაღალდები და საკრედიტო ბარათები.

5. ფასეული ნივთები, ნებისმიერი სახის ოქროს, ძვირფასი და არაძვირფასი მეტალისგან დამზადებული ნივთები, სამკაულები, მათ შორის „ბიჟუტერია“, ყველა სახეობის საათი.

6. ოპტიკური ხელსაწყოები.

7. სათვალეები (გარდა ოპტიკურისა).

8. საკვები და ყველა სახეობის სასმელი პროდუქტი.

9. სუნამოები, ოდეკოლონები და სხვა სპირტზე დამზადებული ნივთიერებები.

10. გადასამრავლებელი აპარატები.

11. დანები, სხვა ბასრი და მჩხვლეტავი საგნები, მათ შორის, კუსტარულად დამზადებული ან/და დაშლილი ან/და გადაკეთებული ერთჯერადი სამართებელი, მინისაგან დამზადებული ნივთები.

12. ნაჯახები, ჩაქუჩები და სხვა ინსტრუმენტები.

13. ხელჯოხები (გარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა).

14. ბანქო.

15. ფოტოაპარატები, ფოტომასალები, აუდიო-ვიდეო და ფიქსაციის სხვა საშუალებები.

16. მობილური ტელეფონები (მათ შორის, მობილური ტელეფონის დამტენი, სიმ-ბარათი და აქსესუარები).

17. კომპასები.

18. დაუდგენელი ნიმუშის სამხედრო და სხვა ფორმის ტანსაცმელი და ამ სახეობის ტანსაცმელს მიკუთვნებული ზედა სამოსი და ფეხსაცმელი, ქუდები, თავსაბურავები, ხელთათმანები.

19. საღებავები და კოპირების ქაღალდები.

20. სატრანსპორტო საშუალებები.